ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 2

ქ. ონი 20. 02. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მამუკა ყავლაშვილი.

სხდომას კომისიის 12 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, ნინო გობეჯიშვილი, ბესიკი მაისურაძე, მერაბ ბიჭაშვილი, ბიძინა ყიფიანი, ნონა მაისურაძე, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: როსტომ ლობჯანიძე, რეზო საბანაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ და აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულო ვალდებულია, ყოველწლიურად, არაუგვიანეს თებერვლისა, განსაზღვროს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, ამ ეტაპზე ცვლილება არსებულ ფასში არ ხდება და მტკიცდება უკვე განსაზღვრული ფასი.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს: 3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ ქ. ონში რაჭის მუზეუმის ახალი შენობის სათანადო მოვლა-პატრონობისათვის

საჭიროა, გამოიყოს სამი საშტატო ერთეული-ერთი ტექნიკური მუშაკი და ორი დარაჯი. შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობას უნდა დაემატოს ერთი ტექნიკური მუშაკის და ორი დარაჯის პოზიცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2023 წ. 20 თებერვალს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ კომისიის სხდომაზე იმსჯელა წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით. შენიშვნები აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით არ გამოთქმულა და კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე